დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ელბაქიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ვერა ბენიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ქეთევან ბერუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ირმა ხუნდაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

სვეტა გორგიშელი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ვერა სომხიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232004666

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თერჯოლის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზედა სიმონეთი
ფაქტობრივი მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი. სოფელი ზედა სიმონეთი
საფოსტო ინდექსი	2400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/927?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ელ.ფოსტა ZedaSimoneti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	995577973374

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 25 0000490290 06/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10-11 ივლისი. 2025 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა სიმონეთი 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა სიმონეთი 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა სიმონეთი 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარემ teams-ში და სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფები. იგი კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე - საჭიროებიდან გამომდინარე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს ის დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რისი გაცნობაც ვიზიტამდე საჭიროდ მიიჩნიეს. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ცენტრის საშუალებით ჯგუფისთვის მიწოდება. პირველადი დოკუმენტაცია იყო მოცულობითი, რამაც ექსპერტებს საშუალება მისცა სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის

პირველადი შეფასება გაეკეთებინა. დოკუმენტაცია სტანდარტების მიხედვით იყო დახარისხებული, რაც აადვილებდა მრავალრიცხოვან დოკუმენტაციაში შესაბამისი მასალის მიგნებას.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავმჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა ავტორიზაციის გუნდთან ერთად განიხილა და შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოითხოვა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია. ითანამშრომლა საგნობრივ, კერძოდ, სახელმწიფო ენის, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მათემატიკის და საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებთნ. ყურადღებით გაეცნო ვიზიტის შემდეგ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ისეთი დოკუმენტებიც, რაც ვიზიტამდე არ ჰქონდა წარმოდგენილი.

სკოლის კათედრების წევრებთან საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი გეგმის შესაბამისად წარიმართა. ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით გაცემული რჩევები იქნა გათვალისწინებული.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების "შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად. სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად ისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლას ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი სკოლით და მასწავლებლებით, თანამშრომლობენ სკოლასთან. მაგალითად, ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა საჩუქრად წიგნები გადასცა სკოლას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **300**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას*	*სკოლას ვურჩევთ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას, დაასაქმოს სკოლაში.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია: გეოგრაფიის კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე იდეები ჩაწერილი იყოს თხრობითი და არა კითხვითი ფორმით; ისტორიის კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კონტექსტ მაგალითი და რესურსები; საბაზო საფეხურზე ისტორიის გეოგრაფიის და მოქალაქობის კურიკულუმში იკვეთებოდეს სხვა თემების დამუშავების კავშირები ცნებებთან მიმართებაში; საბაზო საფეხურზე რესურსების სვეტში იყოს

		სახელმძღვანელოს გარდა იყოს მრავალფეროვანი რესურსები, რაც მოსწავლეს დაეხმარება თემის დამუშავებაში. **ესთეტიკა: სასურველია,** მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ადგილობრივი ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა. შ. მოსწავლეებს დაევალოთ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული, იმერეთისთვის დამახასიათებელი არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა ინტეგრირდეს ადგილობრივ მეურნეობებთან — მოსწავლეები ესტუმრნონ მარნებს, გადაიღონ ფოტოები და შექმნან ვიზუალური ნამუშევრები. **სასურველია,** სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. **სასურველია,** ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. **სასურველია,** მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). **სასურველია,** სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით

		წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს.
2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია,** საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში გარდა სახელმძღვანელოსა მოცემული იყოს ელექტრონული რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ვიდეო რესურსები და ა. **სასურველია,** საგანში ჩვენი საქართველო კურიკულუმში რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. ეს შეიძლება იყოს ვიდეო გაკვეთილები, ონლაინ ბიბლიოთეკები, აპლიკაციები და სხვა. **ტექნოლოგიები** სასურველია, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში.
2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს; განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს. სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. **ტექნოლოგიები** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.

2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი **ესთეტიკური აღზრდა სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.

2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ნამუშევარში, გეგმასა ან ნებისმიერ დოკუმენტში არ ჩანდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოიწვევს მოსწავლის იდენტიფიცირებას. საბაზო საფეხურზე იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მეტად მოარგოთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მისცეთ მათ არჩევანის გაკეთების საშუალება, მაგლითად შინაარსის ადაპტირების, პროცესის მორგების, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის გაკეთების, გარემოს ადაპტირების და სხვა.

2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია,** პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს; განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს. სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. **სასურველია,** სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს; განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს.
2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია;** თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი. **ესთეტიკური არზრდა სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული

		ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ გაეცნო დასკვნის პროექტს და ეთანხმება დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა ვიზიტის დროს დახარვეზებული მტკიცებულება. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები გაზიარებულია სკოლის მიერ და სრულდება ეტაპობრივად. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები. სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს. კერძოდ, სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული, კომუნიკაბელური პიროვნების აღზრდას, რომელიც იქნება ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, დაიცავს ეროვნულ ღირებულებებს, ჩამოყალიბდება გლობალურ მოქალაქედ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპით შექმნა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალურად უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე, სადაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლა მისიით განსაზღვრავს საკუთარ როლს, მიიჩნევს, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული, კომუნიკაბელური პიროვნების აღზრდას, რომელიც იქნება ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, დაიცავს ეროვნულ ღირებულებებს, ჩამოყალიბდება გლობალურ მოქალაქედ. მისიას ამყარებს სკოლის ხედვა, რომლის მიხედვითაც სკოლა 2032 წელს იქნება გლობალური უნარების, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების, პატრიოტი, დემოკრატი, ტოლერანტი მოქალაქის აღმზრდელი, რომელიც ინოვაციური, ინკლუზიური, ციფრული მიდგომებით, ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციის ხარჯზე შექმნის ბრენდირებულ/კონკურენტუნარიან სასწავლო დაწესებულებას. ამისათვის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მომზადებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კერძოდ, მისიისა და

ხედვის განაცხადის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით მოხდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, სკოლის მისიის განაცხადის შექმნაში მონაწილეობდა სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოშია. მოხდა ძველი მისიის გადახედვა და ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა. გონებრივი იერიშის ეტაპზე თითოეულმა წევრმა გამოთქვა მოსაზრებები. თავდაპირველად განსხვავებული იდეების დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი. დისკუსიის შემდეგ შეირჩა ძირითადი საკითხი და თითოეული ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით მოხდა ახალი მისიის შემუშავება. სკოლის დირექტორის N2-03 (09.03.2025) ბრძანებით შეიქმნა ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა მოქმედი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის რევიზია. ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი, რომლის ბმულიც https://forms.office.com/pages/responsepage.aspx?id=POnSYT1CtEOPIxWAwjQZUssaIPKhWWJLpIswaFCUlcZUM0lSWEpBVEIxQ0szM0Q2VThDNjg0MlIzWS4u&route=shorturl შესავსებად დაეგზავნა სასკოლო საზოგადოებას. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და შვიდწლიანი სტრატეგიურლი გეგმის შემუშავების პროცესში, მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმის პროექტი დაეგზავნა სკოლის საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 10 მართის N 1 სხდომის ოქმში ასახულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოება - სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელთა წარმომადგენელი - გახლდათ ჩართული და შესაბამისად მისია, ხედვა და ღირებულებები მათი შეთანხმების პროდუქტია, რაც ნიშნავს, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს აღნიშნულს. მასწავლებლები სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიას გაეცნენ კათედრის სხდომებზე, 2025 წლის 4 აპრილის სკოლის პედაგოგიური საბჭოს N 4 სხდომაზე, ხოლო სამეურვეო საბჭოს გაუზიარდა 2025 წლის 5 აპრილის სამეურვეო საბჭოს N4 სხდომაზე. ჯგუფმა ინტერვიუს მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ კლასის ხელმძღვანელებმა მშობელთა კრებებზე პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს და გააზიარეს განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რასაც ადასტურებს 2025 წლის 4 აპრილის მშობელთა N 4 კრების ოქმები კლასების მიხედვით. საბოლოოდ დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გამოკრულია როგორც სკოლის შენობაში, საინფორმაციო დაფაზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/927?schoolName ატვირთული და გასაჯაროებულია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 446, 2005 წლის 15 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, (საკადასტრო კოდია: 33.13.36.391). აღნიშნული ამონაწერის მიხედვითაც, სკოლის სახელწოდებაა: სკოლის სახელწოდებაა: სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
4. სკოლის წესდება
5. სკოლის შინაგანაწესი
6. სკოლის დირექტორის N2-03 (09.03.2025) ბრძანება ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო სამუშაო ჯგუფის შესახებ
7. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 10 მარტის N 1 სხდომის ოქმი
8. 2025 წლის 4 აპრილის მშობელთა N 4 კრების ოქმები კლასების მიხედვით
9. 2025 წლის 4 აპრილის სკოლის პედაგოგიური საბჭოს N 4 სხდომის ოქმი
10. 2025 წლის 5 აპრილის სამეურვეო საბჭოს N4 სხდომის ოქმი
11. სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/927?schoolName
12. კითხვარის ბმული:

https://forms.office.com/pages/responsepage.aspx?id=POnSYT1CtEOPIxWAwjQZUssaIPKhWWJLpIswaFCUlcZUM0lSWEpBVEIxQ0szM0Q2VThDNjg0MlIzWS4u&route=shorturl

13. ფოტო-მასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2-05 აქტითაა დამტკიცებული 2025 წლის 22 მარტს. მეთოდოლოგიაის მე-16 პუნქტში იკითხება: ,,შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქედო გეგმები მტკიცდება დირექტორის მიერ.“ აქვე აღვნიშნავთ, რომ სკოლას ამჟამად დირექტორის მოვალეობის სემსრულებელი მართავს. მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. სკოლა ამ დოკუმენტით აღიარებს, რომ სტრატეგიული გეგმა, მიზნები და ამოცანები იქმნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ძირითადი მიდგომებია თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, განსაზღვრულია გაზიარებისა და შემუშავების პროცედურები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება, კვლევის შედეგების გათვალისწინება, კერძოდ - SWOT ანალიზი. წინა გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის შვიდწლიანი (2025-2032) სტრატეგიული გეგმა, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-06 აქტითაა დამტკიცებული 2025 წლის 23 მარტს. სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად გასაჯაროებული აქვს სკოლის შესასვლელში, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა

და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. ეს მიზნებია: სტრატეგიული მიზანი N1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; სტრატეგიული მიზანი № 2. ადამიანური რესურსების განვითარება; სტრატეგიული მიზანი №3: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სტრატეგიული მიზანი № 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა; სტრატეგიული მიზანი № 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში; სტრატეგიული მიზანი № 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; სტრატეგიული მიზანი № 7. ორგანიზაციული განვითარება. სკოლის სტრატეგიული გეგმა გასაჯაროებულია სკოლის ვებ-გვერდზეც. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. გეგმა თავდაპირველად 2025 წლის 23 მარტის დირექტორის N 2-07 ბრძანებითაა დამტკიცებული. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გასაჯაროებულია სკოლის ვებ-გვერდზეც. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნებისა და სკოლის მიერ გაკეთებული დიაგნოსტიკური თვითშეფასების საფუძველზე. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს: აქტივობებს, ამოცანების განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებს; ვადას, რომლის პერიოდშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობა; პასუხისმგებელ პირებს, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობაზე, გამოყოფილია ინდიკატორები, რომლითაც იზომება თითოეული აქტივობა და ასევე, გამოყოფილია რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
3. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. 2025 წლის 5 აპრილის სამეურვეო საბჭოს N4 სხდომის ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. ერთ-ერთი ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ანგარიშების წარდგენასა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი, გაზიარებული და გასაჯაროებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სამოქმედო გეგმა საჯაროდ საინფორმაციო დაფაზეა გამოკრული. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ, ასევე - სასწავლო მხარესაც. სკოლა ინფორმირებულია სკოლის ვებ-გვერდზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულებაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

პასუხისმეგებელ ჯგუფთან ინტერვიურებისას დგინდება, რომ მასწავლებელებისა და სრტუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშებს/რეფლექსიას სკოლა იყენებს მომავალი ქმედებების დასაგეგმად. შესაბამისად, დირექტორის მიერ

წარმოდგენილი ანგარიშიც, სადაც ხდება გამოწვევების გამოკვეთა, არის საშუალება მომავალ სამოქმედო გეგმაში აქტივობების **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

3. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. სამეურვეო საბჭოს სხდომის N 4 ოქმი (05/04/2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტები. სკოლის სტრუქტურის სქემა ვებ-გვერდზეა გასაჯაროებული. სქემის სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურაში მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მოქმედების არეალი და ანგარიშვალდებულება. თანამდებობრივი ისტრუქციების დოკუმენტი, სადაც თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებიცაა გაწერილი, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-18 აქტითაა დამტკიცებული 2025 წლის 14 მარტს. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 10 სექტემბერს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-35 აქტით დამტკიცებული დოკუმენტი თანამშრომელთა ფუნქციების განაწილების შესახებ. დებულებებში გაწერილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები (სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მოსწავლეთა

თვითმმართველობის, კათედრის, დისციპლინური კომიტეტის). სკოლის დირექტორის მ/შ-ის მიერ 2025 10 ივლისი წლის ბრძანება N 2-46-ით დამტკიცებულია სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო - მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებულია ფუნქციები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- თანამდებობრივი ინსტრუქციების აღმწერი დოკუმენტი - ბრძანება N2-18 (14/03/2025)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
    - კათედრის დებულება
    - მოსწავლეტა თვითმმართველობის დებულება
    - ხარისხის განვიტარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება
- 2024 წლის 10 სექტემბერს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-35 აქტით დამტკიცებული დოკუმენტი თანამშრომელთა ფუნქციების განაწილების შესახებ

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2019 წლის 16 სექტემბრის N 1/კ-12 აქტით დამტკიცებული ფიზიკის მასწავლებლის დანიშვნის შესახებ დოკუმენტი. ასევე სკოლამ წარმოოადგინა დარაჯის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება N 1/კ-09 (19.10.2022). **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის დაკისრება, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციათა გადანაწილება და სხვ., რაც შეესაბამება სკოლის მიერ წარმოდფგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე გასაუბრების გზით. ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ

გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. ამჟამად სკოლა ატარებს შიდა კონკურსს ფიზიკური აღზრდისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საათებზე, რის დამადასტურებლადაც ვიზიტის პერიოდში სკოლამ გადმოაგზავნა დირექტორის ბრძანება N 2-47 (11.07.2025) შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ. ვიზიტის დროს დასაქმებული პერსონალის პირად საქმეებში არ ინახებოდა ცნობები ნასამართლეობის შესახებ. 2020 წლის 23 ივლისის შემდეგ სკოლაში მიღებულ მხოლოდ ერთ თანამშრომელს ქონდა ცნობა ნასამართლეობის შესახებ. მას ესაჭიროებოდა ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რასაც დანართად ახლავს თანამშრომელთა ცნობები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 5 აპრილის N 2-31 აქტითა აქვს სკოლას დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი, ,,სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ,“ სადაც გაწერილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში ვიზიტის დროს, საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პირველ კლასში ფიზიკურ აღზრდასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას და ასევე, პროექტულ სწავლებას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში - ამ საგნებში არაკვალიფიცირებული პედაგოგები ასწავლიდნენ, თუმცა სკოლას ჰყავს შესაბამისი კადრები, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ ფიზიკური აღზრდის 3 საათი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების 2 საათი და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტული სწავლების საათები სხვა საათებთან ერთად შეითავსონ. სკოლამ ვიზიტის დროს გამოაცხადა შიდა კონკურსი ფიზიკური აღზრდისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საათებზე, რის დამადასტურებლადაც ვიზიტის პერიოდშივე გადმოაგზავნა დირექტორის ბრძანება N 2-47 (11.07.2025) შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ. ახალი სასწავლო წლიდან პროექტული სწავლების საათობრივი დატვირთვა გადაუნაწილდება კომპეტენციადადასტურებულ მასწავლებელს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ახალი კადრის შერჩევის გადაწყვეტილებას იღებს გუნდი (საკონკურსო კომისია), მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს გუნდი (დისციპლინური კომისია) და ა. შ. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესების და კვალიფიკაციის მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, სკოლა სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად ჩართულ მასწავლებლებსა თუ პერსონალს დიპლომებითა და სიგელებით აჯილდოებს, სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე მიღწეული წარმატების თუ განხორციელებული პროექტის გამოქვეყნება ხდება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის შინაგანაწესი*
2. *თანამშრომელთა ხელშეკრულებები*
3. *უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების ხელშეკრულებები*
4. *შიდა კონკურსის გრძანება*
6. *პერსონალის პირადი საქმეები*
7. *დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლი 5 აპრილის N 2-31 აქტი „სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ,“*

8. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2019 წლის 16 სექტემბრის N 1/კ-12 აქტით დამტკიცებული ფიზიკის მასწავლებლის დანიშვნის შესახებ დოკუმენტი.

9. დარაჯის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება N 1/კ-09 (19.10.2022)

10. დირექტორის ბრძანება N 2-47 (11.07.2025) შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ

11. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 5 აპრილის N 2-31 აქტით დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი, ,,სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ"

12. სკოლის დირექტორის მ/შ-ის მიერ 2025 10 ივლისი წლის ბრძანება N 2-46 - სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები

13. სიგელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს მასწავლებეთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-19 მუხლში იკითხება, თუ როგორ ხდება სკოლაში ადამიანური რესურსის შესრულებული სამუშაოს შეფასება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე კათედრის სხდომებზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი

ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება და ა. შ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და სემინარებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მასწავლებლები გადიან ტრენინგებს. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლაში 1 მენტორი, 12 წამყვანი და 12 უფროსი მასწავლებელია. მათ შორის ორივე სპეცმასწავლებელიც სტატუსით უფროსია. სკოლაში მუშაობს USAID საბაზისო განათლების პროექტის ლიდერ მასწავლებლები. სკოლა მათ საშუალებას აძლევს და ახალისებს ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ახალი თანამშრომელს დირექცია აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სკოლის ფილოსოფიას (მისიას, ხედვას, ღირებულებებს). პირველივე დღესვე დირექცია ახალ თანამშრომელს ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრას, რაც სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გაირკვა. ექსპერტები ადგილზე ვიზიტის დროს თავადაც დავრწმუნდით, რომ ახალი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 12 მარტის N 2-29 აქტითაა დამტკიცებული ,,პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები," ამასთანავე, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში მე-18 მუხლად გაწერილია ,,ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია." **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთ მასწავლებლებს სკოლა აჯილდოებს

სიგელებით. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებსა და პროექტებში მათ მონაწილეობას. **შეაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები
4. მასწავლებლების პირადი საქმეები
5 მასწავლებლის სამუშაო შეხვედრის რეფლექსია
7. სკოლის სოციალური ქსელი
8. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 12 მარტის N 2-29 აქტი,, ,,პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები“
9. ინტეგრირებული გაკვეთილები
10. მასწავლებლის თვითშეფასება
11. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება ბრზანება ნ2-14 (25.03.,2025)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ., რაც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის N 2-49 (11/07/2025) ბრძანებითაა დამტკიცებული. ხარისხის უზრუნველყოფა დასტურდება მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებითაც, ასევე, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც სკოლის ვებ-გვერდზეცაა გასაჯაროებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები - მათ შორის: სამეურვეოს და პედაგოგიური საბჭოების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ. სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტშია გაწერილი და რომელიც სკოლის დირექტორის N2-49 (11.07.2025) ბრძანებით იქნა დამტკიცებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც სკოლის ვებ-გვერდზეცაა გასაჯაროებული. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. სკოლამ წარმოადგინა ,,სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი,“ რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის N2-28 (05.04.2025) ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესის განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. სკოლაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლაში ყველა მოქმედ კლასში არჩეულია მშობელთა კომიტეტის წევრები. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. უფლებები უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, სკოლასა და პერსონალს შორის. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა. სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმი," რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის N2-23 (05.04.2025) ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი - დირექტორის N 2-49 (11/07/2025) ბრძანება

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი

3. ,,სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი" დოკუმენტი. N2-28 (05.04.2025) ბრძანება

4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

5. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

6. სკოლის შინაგანაწესი

7. ვიდეოსათვალთვალო კამერების ფოტოები

8. ,,მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმი" - სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის N2-23 (05.04.2025) ბრძანება

9. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. ყველა კლასში ჩამოყალიბებულია მშობელთა კომიტეტები. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. მშობელთა კრებებზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის გაცნობა, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებშიც. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულია ხელშეკრულება. სკოლას აქვს 2025 წლის 12 მარტს დირექტორის N 2-21 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.“ **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოება - 3 მასწავლებელი და სამივე საფეხურის თითო-თითო მშობელი. **ესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები
2. მშობელთა კრების ოქმები
3. 2025 წლის 12 მარტს დირექტორის N 2-21 ბრძანება - „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. დირექტორის N 2-45 (10.07.2025) ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ დოკუმენტი, სადაც გაწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო 32 კამერით, აქედან გარე პერიმეტრზე - 14 და შიგა პერიმეტრზე 18 კამერით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. სკოლაში განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები, სათადარიგო კიბეები. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მანდატურის სამსახურის მიერაა გადამზადებული. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას არა აქვს შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა, თუმცა დასკვნის მომზადებაზე აქვს მიმართული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის. ასევე, სკოლას შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დოკუმენტი არ წარმოუდგენია, თუმცა, შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი, რომ 2026 წლის 5 დეკემბრამდე წარმოადგენს შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სკოლის შენობა-ნაგებობის

სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნას, ხოლო 2026 წლის 24 თებერვლამდე - შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნას. ამასთან დაკავშირებით სკოლას უფლებამოსილ ორგანოებთან წერილი აქვს მიწერილი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც მოწყობილია ბრძანების შესაბამისად: აღჭურვილია ავეჯით, სამედიცინო ინვენტარით, ტექნიკით, მედიკამენტებითა და სახარჯი მასალით. სკოლას 2015 წლიდან ჰყავს ექიმი. ექიმი აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურეობის აღრიცხვას. დირექტორის 2023 წლის 21 ივნისის N 2-86 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის ექიმის სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება.“ ექიმმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა და 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში 32 სათვალთვალო ვიდეოკამერაა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავენ სპეციალურ ჟურნაში. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორის N 2-45 (10.07.2025) ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ დოკუმენტი, სადაც გაწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. **რჩევა:** სკოლას ვურჩევთ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების

დანერგვასა და მართვას, დაასაქმოს სკოლაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. კლასის ხელმძღვანელების მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე - გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. პანდემიის პერიოდში და შემდგომაც მშობელთა მხრიდან არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება ჰიგიენური პირობების დაცვის მაღალ სტანდარტზე. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ დამლაგებლები. სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი. ექიმის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიშში კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება სკოლაში სველი წესით დასუფთავება, დეზინფექციის ჩატარება, შედგენილია დამლაგებლების განრიგი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ელექტრონულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ

თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლამ წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, სადაც ვკითხულობთ, რომ სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ჰყავს და მისი ფუნქციებიცაა გაწერილი. დირექტორის 2025 წლის 26 მარტის N 1/კ-02 ბრძანებით სკოლაში დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ოფიცრის შესახებ მონაცემები განთავსებულია ვებ-გვერდზე pdps.ge. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.“ სკოლას დაყენებული აქვს ფილტრი უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებითა და მრჩეველთა საბჭოს ოქმით. სკოლაში არსებობს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის ფორმები, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დირექტორის N 2-45 (10.07.2025) ბრძანება - „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“*

2. *ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ფოტოები*

3. *2023 წლის 21 ივნისის N 2-86 ბრძანება - „სკოლის ექიმის სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება.“ 4. ექიმის სამოქმედო გეგმა*

5. *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*

6. *პროექტები*

7. *ექიმის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში*

8. *მედიკამენტების ჩამონათვალი*

9. *ექიმის მიერ განხორციელებული პროექტების ფოტო-მასალა*

10. *უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება N 2-45 (10.07.2025)*

11. *უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*

13. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ბრძანება N 1/ჯ-02 (26.03.2025)*

14. *პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის ფორმები*

15. *პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი*

16. *მრჩეველთა საბჭოს ოქმები*

17. *საჯარო ინფორმაცია - 10 დეკემბრის ანგარიში პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს*

18. *შენობაში შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შენობა უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას 1 დამხმარე შენობა: გათბობის ქვაბისა და წყლის რეზერვუარის. სკოლის ეზოში ბუნებრივი ჭაა, რომელიც დაცულია. ეზოში ასევე დგას გენერატორი. სკოლა სამსართულიანია. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელები. სკოლის ოთხივე მხარეს თითო-თითო კარებია. სკოლის დაზუსტებული ფართობი 10346.00 კვ. მეტრია, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი და სპორტული დარბაზი და მოედანი. სკოლას 300 მოსწავლეზე აქვს მოთხოვნა. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 112 მოსწავლე (ერთ ცვლაში). სკოლის ინფრასტრუქტურა გამართულია. სკოლას აქვს 300 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას 2024 წლის დეკემბერში უსასყიდლოდ გადაეცა 4 პროექტორი, ასევე აქვს 4 პერსონალური კომპიუტერი და ახალი მიღებული 30 ლეპტოპი, 6 პრინტერი, 6 ფერადი და 1 შავ-თეთრი პროექტორი. სკოლას შეუძლია მიიღოს 300 მოსწავლე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო

საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლას 10 სსსმ მოსწავლე და 2 სპეცმასწავლებელი ჰყავს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არასაგაკვეთილო პერიოდშიც შეუძლიათ გამოიყენონ სპორტული სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია: კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი, სკანირება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის განახლება პერიოდულად ხდება. განახლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასევე, მასწავლებელთა სურვილები სასწავლო რესურსად გამოიყენონ მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება), რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 27 მარტის N 2-20 ბრანებით, რის შესაბამისადაც ხდება სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე, დგას კომპიუტერი და პრინტერი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და სკოლის სხვა თანამშრომლები. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები. სკოლის შენობას აქვს პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები, ლიფტი, რესურსოთახი შესაბამისი აღჭურვილობითა და რესურსებით. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის N 2-35 ბრძანებით დამტკიცებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო -კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის სემოსასვლელში საკონფერენციო სივრცეა მოწყობილი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
2. *ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი*
3. *საგნობრივი კურიკულუმები*
4. *კათედრის ოქმები*
5. *ლეპტოპების, პროექტორების, მერხების, დაფების მიღება-ჩაბარების აქტები*
6. *პროექტები*
7. *ფოტომასალა - ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერისა და პრინტერის ამსახველი ფოტო*
8. *ბიბლიოთეკის დებულება - ბრძანება N 2-20 (27.03.2025)*
9. *2025 წლის 7 აპრილის N 2-35 ბრძანება - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.*
10. *ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების აღრიცხვის ჟურნალი*
11. *ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი*
12. *ძირითადი აქტივები*
13. *მიღება-ჩაბარების აქტი უსასყიდლოდ მიღებული 4 პროექტორი (20.12.2024)*
14. *დეფექტური აქტი*
15. სასწავლო რესურსების კატალოგი - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა
16. სასწავლო რესურსების კატალოგი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა
17. სასწავლო რესურსების კატალოგი - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა
18. სასწავლო რესურსების კატალოგი - მათემატიკის კათედრა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. მათ გამოყენებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში მოქმედი WI FI -ის სისტემის როლი. სკოლას აქვს 4 პერსონალური კომპიუტერი, 30 ლეპტოპი, 6 პრინტერი, 6 ფერადი და 1 შავ-თეთრი პროექტორია. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ N 2-26 (05.04.2025) ბრძანებით დამტკიცებულია ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, ასევე, წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა-გრაფიკი. ორივე ეს დოკუმენტი ლაბორატორიებშია გამოკრული. სკოლაში არსებობს სკოლის ციფრული განვითარებს გეგმა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, ქსეროქსის აპარატები მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ელექტრონული ჟურნალი შეავსოს სრულფასოვნად სამუშაო დღის განმავლობაში. სკოლამ წარმოადგინა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ინფორმაციული

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ ცალკე წაროდგენილი დირექტორის N 2-26 (05.04.2025) ბრძანებით დამტკიცებული ლაბორატორიებით სარგებლობის წესის შესაბამისად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის მიერ N 2-26 (05.04.2025) ბრძანება - ლაბორატორიებით სარგებლობის წესი
2. კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გეგმა-გრაფიკი
3. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
4. დეფექტური აქტი გამოუსადეგარი კომპიუტერული ტექნიკის შესახებ
6. ლაბორატორიების ფოტოები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლის დირექტორის N2-21ა (12.03.2025) ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვა. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებათ შესაბამის ვადებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

ელექტრონული საქმისწარმოებისათვის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება eflow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე, რაც სკოლამ გასაუბრების დროს აღნიშნა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის, მოსწავლეთა, მშობელთა, პერსონალთა მონაცემები, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა. შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო სკოლის საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. საქმისწარმოების წესი - დირექტორის N2-21ა (12.03.2025)
5. ანგარიშები პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლას აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 მარტის N 2-21 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებს სოციალურ ქსელს - სკოლის ფეისბუქგვერდს, სკოლის ვებ-გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას, მთელ კედელზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გასაჯაროებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ სხვადასხვა არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. და ღონისძიებები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, სადაც ქართულ ენაზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, რასაც თავად ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/927?schoolName ადასტურებს. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/927?schoolName სკოლის შესახებ სრულად შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. ფაქტიურად, სკოლის ძირითადი დოკუმენტებია განთავსებული ვებ გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 მარტის N 2-21 ბრძანება - სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
2. სკოლის ვებ გვერდი: **https://skolebi.emis.ge/schools/927?schoolName**
3. სკოლის საინფორმაციო დაფა
4. სოციალური ქსელის ჯგუფები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფასა და კომუნალურ გადასახადებს. თუმცა, დარჩენილი თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. მიუხედავად ნაკლები შემოსავლებისა, სკოლა ახერხებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
2. 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების სეტანის შესახებ ბრძანება N 2-17 (27.03.2025)
3. ხელშეკრულება გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებს შესახებ - კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარების შესყიდვა (22.03.2025)
4. ხელშეკრულება გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებს შესახებ - კომპიუტერსაკანცელარიო ნივთების შესყიდვა (22.03.2025)
5. მიღება-ჩაბარების აქტი - უსასყიდლოდ 4 პერსონალურიი კომპიუტერის მიღების სესახებ (20.12.2024)
6. ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება N 2-49
7. საშტატო განრიგი
8. ერთწლიანი სამოქედო გეგმა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში მოსწაველთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი შიდა რეგულაციებით, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპლიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის N 2-23 ბრძანება მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი დამტკიცების შესახებ, სსიპ დავით კლდიასვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპლიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის N 2-27 ბრძანება სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვ. შინაგანაწესში დეტალურადაა საუბარი მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებზე. მოსწავლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, ასევე დეტალურადაა გაწერილი ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. მოსწავლეთა უფლებების დაცვას ემსახურება დოკუმენტი ,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია". სკოლას შემუშავებული აქვს სხვა მრავალი დოკუმენტი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ისეთი, როგორიცაა მაგალითად რემედიაციის წესი, ტრანზიციის წესი და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მნივნელოვანი რეგულაცია სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და გაზიარებულია მათ მიერ. აღნიშნული და წინა ინდიკატორში ჩამოთვლილი სხვა რეგულაციები სკოლას განთავსებული აქვს როგორც ვებ გვერდზე, ასევე, სკოლის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ პირველსავე შეხვედრაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგება შემდეგი მუხლებისგან: 1.ზოგადი დებულება; 2.ხელშეკრულების საგანი; 3.ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები; 4. პასუხისმგებლობა; 5.ხელსეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; 6.სხვა პირობები; 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. თითოეული მუხლი მკაფიოდ და დეტალურად აღწერს შინაარსს, რაზედაც თანხმობას ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
3. სსიპ დავით კლდიასვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპლიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის N 2-23 ბრძანება მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ,
4. სსიპ დავით კლდიასვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპლიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის N 2-27 ბრძანება სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
5. სასკოლო სასწავლო გეგმა;
6. რემედიაციის წესი;
7. ტრანზიციის წესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ დავით კლდიასვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპლიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის N 2-27 ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. წესი შედგება 17 მუხლისაგან. რომელთაგან მე-3 -დან მე-10 მუხლის ჩათვლით ეხება მოსწავლის ჩარიცხვას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას და შეწყვეტას. რაც შეეხება საფეხურის დაძლევის საკითხს დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ,,მოსწავლის აკადემიური შეფასების მისტემა" მუხლი 8. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების მიხედვით. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და სკოლის შიდა რეგულაციის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის ბრძანება N 2-27 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული ფასიანი დამატებითი მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები. სკოლის დირექტორის განმარტებით, მათ რეაბილიტაციამდე პერიოდში აქვთ გამოცდილება ფართების გაიჯარებასთან დაკავშირებით და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს კიდეც იჯარის წესით გასცეს ფართი სასკოლო ბუფეტისთვის, ქორეოგრაფიული და მუსიკალური წრეებისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყველა ინფორმაცია სასკოლო მომსახურების შესახებ მშობლებს მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე და დახურულ სოციალურ ჯგუფებში, ასევე ეს ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება განთავსებული იყოს საინფორმაციო დაფებზე, ვებგვერდზე ან სოციალურ მედიაში სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. არადისკრიმინაციულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით სკოლას აქვს შეთანხმება, როგორც სკოლის პერსონალთან, ასევე, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პერსონალური ინფორმაციის გამოყენების შესახებ. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომელთა აქტიურობით ხორციელდება პროექტები, აქტივობები, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ როგორც დახურული სოციალური ჯგუფების, კლასის ხელმძღვანელების თუ პირდაპირი კომუნიკაციის, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ დავით კლდიასვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპლიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 აპრილის N 2-27 ბრძანება სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,

2. მშობლებტან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩანაწერები
3. თვითმმართველობის დებულება/ სამუშაო გეგმა
4. მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობები
5. სოციალურ მედიაში სკოლის გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 5 აპრილს ბრძანება N2-25. აღნიშნული წესი შედგება 11 მუხლისგან. მე-3 მუხლში საუბარია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრონციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორებზე, მე-4 და მე-5 მუხლებში საუბარია დეზადაპტაციის ნიშნებსა და შესაბამის ღონისძიებებზე. ცალკე მუხლი ეთმობა პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის წესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სიმონეთის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან: ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ღონისძიებას. სკოლა თანამშრომლობს ახლომდებარე საბავშვო ბაღებთან. დამრიგებელი გადმომსვლელ მოსწავლეებს უქმნის პოზიტიურ გარემოს, აცნობს ახალ კლასს და საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას აძლევს. ახალ მოსწავლეს სკოლაში თანატოლებიც უწევენ მეგზურობას, რაც აადვილებს მის ადაპტაციას კლასთან და სკოლასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლას შემუშავებლი აქვს რემედიაციის წესი. (ბრძანება 2-27 07.04.2025) წესში გაწერილი ეტაპები მოიცავს რემედიაციის პროგრამაში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირებას; პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობას, სამუშაო ფორმატის შემუშავებას (გაკვეთილში ჩაშენებით, გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით); სარემედიაციო სივრცის მოწყობას (თუ რემდიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით); სასწავლო რესურსებისა და აქტივობების შერჩევა-მომზადებას; მეცადინეობების ჩატარებას (თუ რემდიაცია ხორციელდება გაკვეთილისაგან მოწყვეტით ან დამატებითი გაკვეთილის სახით) , აქტივობების განხორციელებას; რემდიაციის პროცესის დიაგნოსტირებას, ანალიზსა და პროგრესის მონიტორინგს; რემდიაციის პროცესის შესახებ ანგარიშის მომზადებას. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ რემედიაცია საჯარო სკოლაში მოიაზრებს სწავლა-სწავლების პროცესში ხარვეზების აღმოფხვრაზე ორიენტირებულ მიდგომას. სარემედიაციო დახმარებას პედაგოგები იწყებენ მაშინ, როცა დიფერენცირებული მიდგომებით ვერ ხერხდება კონკრეტულ მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა მოსწავლეებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას: თვითმართველობის და, ზოგადად, მოსწავლეთა მიმართვის საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობს სხვადასხვა რგოლთან და გასცემს შესაბამის სიტყვიერ თუ წერილობით მოთხოვნას. გასულ წლებში სკოლას აქვს გამოცდილება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სემესტრული გამოცდის დანიშვნასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას/ დახასიათება/რეკომენდაციას/ნიშნების ფურცელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას ჰყავს აქტიური თვითმართველობა, რომლის მიმართვის საფუძველზე სკოლა მუდამ მზადაა მათი ინიციატივების მხარდასაჭერად მიიღოს შესაბამისი ზომები. სკოლას აქვს „სამოქალაქო კლუბი“, ,,ინტელექტუალთა კლუბი“ ,,ეკოლოგთა კლუბი“ რომლებიც ყოველწლიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ თუ რესპუბლიკურ პროექტებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მასწავლებლები მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან იღებენ უკუკავშირს ცალკეული აქტივობის, გაკვეთილის, ან მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. მიღებულ უკუკავშირს სკოლა აანალიზებს და იყენებს დახვეწის/ხარისხის გაზრდის მიზნით. კერძოდ, ყოველწლიურად ზრდის კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და ინტეგრირებულ პროექტებს. სკოლაში ვიზიტის დროს თვალშისაცემი იყო დერეფნებში თუ საკლასო ოთახებში გამოფენილი განხორციელებული პროექტების თუ აქტივობების ამსახველი მასალები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2024-2025 სასწ.წ. სამოქმედო გეგმა

განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას დამტკიცებული აქვს სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი. (ბრანება 2-44 10.07.2025). სკოლას აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები ხორციელდება ამ ეტაპზე, სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში არ ახორციელებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კურსს, თუმცა, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა. განსაკუთრებით კარგი გამოცდილება აქვს სკოლას წარმატებულ კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის. ზოგიერთი მათგანი მატერიალურ დახმაებასაც უწევს სკოლას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების საშუალებით აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლების, სხვადასხვა პროფესიის პირების შეხვედრებს, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში ხორციელდება შეხვედრები პროექტის „მე ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში, სადაც წარმატებული ადამიანები ხვდებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, აცნობენ ამა თუ იმ პროფესიას და ეხმარებიან კარიერის დაგეგმვაში. ხშირ შემთხვევაში მათთან შეხვედრამდე მოსწავლეებს არ აქვთ ნაფიქრი მომავალ პროფესიაზე, სწორედ ამ შეხვედრების შემდგომ ისინი გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებენ. სასურველია შეხვედრები კიდევ უფრო გახშირდეს და გახდეს რეგულარული, როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე, დაიგეგმოს გასვლითი აქტივობები კონკრეტულ სასწავლებლებში. სკოლას აქვს

გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. მემორანდუმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას. სკოლას შემუშავებული აქვს: ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინტერვენციის გეგმა. ასევე სკოლას ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ჰყავს შექმნილი. სკოლაში სსსმ მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისათვის შესაფერისი გარემოა. მეორე სართულზე განთავსებულია რესურსოთახი. რესურსოთახისთვის ცალკეა გამოყოფილი კომპიუტერი და პრინტერი. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, ხელმისაწვდომია თავისუფალი გადაადგილება პანდუსებისა და ლიფტის მეშვეობით. სკოლაში ირიცხება 10 სსსმ მოსწავლე. სპეციალური მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებასა და მიმღებლობის უნარის განვითარებაზე. ინტერვიუირების დროს სპეციალურმა მასწავლებელმა დაასახელა რამდენიმე მაგალითი, როდესაც სხვადასხვა პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. დირექტორს ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული ისგ ჯგუფი, რომელიც წლის მანძილზე 4-ჯერ შეიკრიბა და თითოეული შეხვედრა დაოქმდა. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. შიდა მონიტორინგის ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს შეაჯამა ინკლუზიური განათლების კუთხით წარმართული საქმიანობა. დასკვნაში დეტალური ინფორმაციაა მოცემული მთელი წლის მანძილზე ინკლუზიური განათლების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე: **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლა ინდივიდუალურ გეგმების შემუშავებით, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელი, რაც ხელს უწყობს საჭიროებების უკეთ განსაზღვრას. სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური მასწავლებელი სასწავლო წლის განმავლობაში. იქმნება ისგ ჯგუფები უკვე შეფასებული სსსმ მოსწავლეთათვის, რომელშიც შედის სსსმ მოსწავლის მშობელი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ მოსწავლეს. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ 4-ჯერ. შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა ადგილზევე გადაამოწმეს ინკლუზიური განათლების კუთხით წარმართული საქმინაობა; შეისწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სხდომის ოქმები, სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა. ინტერვიურების პროცესში წარმოჩინდა წარმატებული პრაქტიკა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპეციალური მასწავლებლების მუშაობის თვალსაზრისით. კერძოდ, როგორც გაირკვა მუნიციპალიტეტის სპეციალური მასწავლებლები თვეში ერთჯერ იკრიბებიან წარმატებული პრაქტიკის გასაზიარებლად და გამოწვევებზე სამსჯელოდ. ასევე, კვირაში ერთი დღე - ხუთშაბათობით კონსულტაციებს გადიან საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელთან. რომელთან ერთადაც ხდება გამოწვევების განხილვა და მისგან საჭირო კონსულტაციების მიღება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
2. სპეციაური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა
3. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
5. ისგ ჯგუფის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს დაუბრუნდა განახლებულ, რეაბილიტირებულ სასკოლო გარემოს. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან ის მხოლოდ ტრანსპორტირების მომსხარურებას უწევდა მოსწავლეებს. ტრანსპორტირება ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ბუფეტის მომსახურების შეთავაზებას. ამ ეტაპზე სხვა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე განხორციელებული არასავალდებულო ხასიათის მომსახურება მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრონციპის დაცვით. მომავალი 2025-2026 სასწავლო წლიდან, სკოლა გეგმავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იჯარით გასცეს ფართი სასკოლო ბუფეტისთვის და აღნიშნული მომსახურებაც რათქმაუნდა იქნება ნებაყოფლობითი, კოლეგიალურ ორგანოსთან შეთანხმებული და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ტრანსპორტირების სერვისი სკოლისთვის შეთავაზებულია მუნიციპალიტეტის მიერ და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამ მიმართულებით სკოლას არ აქვს ვალდებულება რეგულაციების დაწესების. თუმცა მომსახურებას უწევს მონიტორინგს. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ადგენს ტრანსპორტით მომსახურების საჭიროების დეტალებს და აწვდის შესაბამის სტრუქტურებს. სკოლის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მაგალითად, სასწავლო ექსკურსიის მოწყობისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტის ტაბელები
2. ბრძანება ექსკურსიის შესახებ
3. ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ''სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ასახავს კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე, როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ითვალისწინებენ წინა წლის შედეგების ანალიზს და მომავალი სასწავლო წლისათვისაც გეგმავენ გაიზიარონ ამ სასწავლო წელს მიღებული გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავებისას, სკოლამ საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი თემის მოლოდინების, ადგილობრივად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული მიზნების დანერგვას კონკრეტული სკოლის კონტექსტში. სკოლის მიერ სასწავლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესი წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა სკოლის კურიკულუმის შექმნაში. მასწავლებლების მიერ წინა სასწავლო წლის შედეგების

გაანალიზებისას დაფიქსირებული გამოწვევები, მშობელთა კრებებზე გამოკვეთილი საჭიროებები განხილული და გათვალისწინებულია პედაგოგიური საზოგადოების მიერ .მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში აისახება, სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესები. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. მოსწავლეთა მიღწევების საფუძველზე. წინა წლის შეგროვებული ინფორმაციას მიხედვით გამოკვეთეს პრობლემები და მისი გადაჭრისათვის დასახული გზები გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნისას. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ითვალისწინებენ ასევე დიფერენცირებულ მიდგომებს, მათ შორის ისგ-ს სახით, თემატურ კონტექსტები კი ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებსა და მათთვის აქტუალურ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრის თავმჯდომარის, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა. კერძოდ, კათედრაზე ხდება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი წარედგინება შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სკოლის ვებ გვერდი, საჯარო ღონისძიებები. წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათები, შვილის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისთვის კითხვარები მშობლებს, რაც ცხადყოფს სასკოლო საზოგადოებისთვის კურიკულუმების ხელმისაწვდომობას და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის ხელშეწყობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტექნოლოგიები

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- სასკოლო კურიკულუმი

სახელმწიფო ენა

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები
- მასწავლებლების რეფლექსიები და ანგარიშები
- ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი დოკუმენტაცია
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სპორტი

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.*
- *შემუშავებული კურიკულუმები*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო** საგნებში, **დაწყებით** საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია

	სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, შუალედური მიზნები, საკითხები, რესურსები. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეა. კურიკულუმს ერთვის ყველა კომპლესური დავალების პირობა.რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა კონსტრუქტივიზმის პრინციპების და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საბუნებისმეტყველო** საგნებში, **საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, შუალედური მიზნები, საკითხები, რესურსები. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეა. კურიკულუმს ერთვის ყველა კომპლესური დავალების პირობა.რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა კონსტრუქტივიზმის პრინციპების და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საბუნებისმეტყველო** საგნებში, **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები, შუალედური მიზნები, საკითხები, რესურსები. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეა. კურიკულუმს ერთვის ყველა კომპლესური დავალების პირობა.რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული

	კომპლექსური დავალებები იძლევა კონსტრუქტივიზმის პრინციპების და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებითი** საფეხურის კურიკულუმები **(მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო),** რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საბაზო** საფეხურის კურიკულუმები **(გეოგრაფია, მოქალაქეობა, ისტორია)** რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **რჩევები:** სასურველია: 1. გეოგრაფიის კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე იდეები ჩაწერილი იყოს თხრობითი და არა კითხვითი ფორმით; 2. ისტორიის კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კონტექსტ მაგალითი და რესურსები;

	3. საბაზო საფეხურზე ისტორიის გეოგრაფიის და მოქალაქობის კურიკულუმში იკვეთებოდეს სხვა თემების დამუშავების კავშირები ცნებებთან მიმართებაში; საბაზო საფეხურზე რესურსების სვეტში იყოს სახელმძღვანელოს გარდა იყოს მრავალფეროვანი რესურსები, რაც მოსწავლეს დაეხმარება თემის დამუშავებაში. **საშუალო** საფეხურის კურიკულუმები (**ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია)** რომლებიც შექმნეს მასწავლებლებმა, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაიგეგმა მომდევნო სასწავლო წლისათვის, მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შედგენილი. სასწავლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. კურიკულუმის ფორმა შემუშავებულია კათედრაზე. კურიკულუმებში ყველა სვეტი შევსებულია და ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს სამომავლო ხედვები. აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **რჩევები:** სასურველია: 1. გეოგრაფიის კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე იდეები ჩაწერილი იყოს თხრობითი და არა კითხვითი ფორმით; 2. ისტორიის კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კონტექსტ მაგალითი და რესურსები; 3. საშუალო საფეხურზე ისტორიის გეოგრაფიის და მოქალაქობის კურიკულუმში იკვეთებოდეს სხვა თემების დამუშავების კავშირები ცნებებთან მიმართებაში; 4. საშუალო საფეხურზე რესურსების სვეტში იყოს სახელმძღვანელოს გარდა იყოს მრავალფეროვანი რესურსები, რაც მოსწავლეს დაეხმარება თემის დამუშავებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	**დაწყებით** საფეხურზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, სადაც მოსწავლე არის აქტიური მონაწილე თავისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში,რაც ასევე დასტურდება კურიკულუმის შესაბამისად შემუშავებული კომპლექსური დავლებებითა და შეფასების

	სიტემით.არნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარის მოთხოვნებს.** **საბაზო** საფეხურზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, სადაც მოსწავლე არის აქტიური მონაწილე თავისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში,რაც ასევე დასტურდება კურიკულუმის შესაბამისად შემუშავებული კომპლექსური დავლებებითა და შეფასების სიტემით.არნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარის მოთხოვნებს.** **საშუალო** საფეხურზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, სადაც მოსწავლე არის აქტიური მონაწილე თავისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში,რაც ასევე დასტურდება კურიკულუმის შესაბამისად შემუშავებული კომპლექსური დავლებებითა და შეფასების სიტემით.არნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სწავლისა და სწავლების პროცესი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება გამახვილდა თითოეული მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე. მასწავლებლები მუდმივად იკვლევენ და ითვისებენ თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ეხმარებათ, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები და განივითარონ 21-ე საუკუნისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციები. განახლებული კურიკულუმი წარმოადგენს არა მხოლოდ თემატურ გეგმას — ის არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც ვითარდება მოსწავლეთა ჩართულობის, უკუკავშირის და შეფასების საფუძველზე. საგანმანათლებლო შინაარსი მორგებულია თემის კონტექსტზე და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას იმუშაონ რეალურ საკითხებზე — პროექტებით, გუნდურად და შემოქმედებითად. მოსწავლეები შეისწავლიან სახელმძღვანელოში მოცემულ თემებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის

	ღონისძიებებს. სკოლა წარმოადგენს იმ ტიპურ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სკოლაში ესთეტიკურ კათედრას ერთი მუსიკის და ოთხი ხელოვნების მასწავლებელი ჰყავს, რომელთაგან ორ მასწავლებელს საგნის კომპეტენცია დადასტურებული არ აქვს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ სკოლა გამოაცხადებს ვაკანსიას ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე, რომელიც დროებით გადანაწილებული აქვთ დაწყებითის პედაგოგებს. მიუხედავად მატერიალური რესურსების სიმწირისა, სკოლამ შეძლო შეექმნა ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სასკოლო კურიკულუმი მჭიდროდ უკავშირდება თემის რეალურ საჭიროებებსა და ღირებულებებს. 2024 წელს დაწყებული კურიკულუმის განახლების პროცესში, სკოლის დირექციამ და ესთეტიკის კათედრამ პრიორიტეტად დაისახეს თემის ინტერესების გათვალისწინება. განხილვებში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ერთობლივად შემუშავებული მიდგომის შედეგად გამოიკვეთა, რომ სიმონეთში ძლიერია ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების სიყვარული — ბევრი ოჯახი ფლობს ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს, ხოლო სასკოლო ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, კურიკულუმის ფარგლებში აქცენტი გაეკეთებინა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლასა და შესრულებაზე. საკლასო პროცესში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხურ საკრავებს, ჭიანური, ფანდური, ჩონგური, დოლი, სალამური და შედეგად შეძლეს შეექმნათ ხალხური საკრავები მეორადი გამოყენების ნივთებით, საღებავებით, ქაღალდებით და ა.შ. შესაბამისად, სწავლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების პროცესად იქცა. ხელოვნების მასწავლებელმა დაიწყო პროექტული ტიპის გაკვეთილების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას სასკოლო საზოგადოებაში. მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოფენა მრავალფეროვან თემატიკაზე. **რჩევები: სასურველია,** მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ადგილობრივი ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა. შ. მოსწავლეებს დაევალოთ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული,

	იმერეთისთვის დამახასიათებელი არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა ინტეგრირდეს ადგილობრივ მეურნეობებთან — მოსწავლეები ესტუმრნონ მარნებს, გადაიღონ ფოტოები და შექმნან ვიზუალური ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პროფესიონალური სახელოსნო ან მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ კრეატიული გზების პოვნა: გამოიყენონ ხელმისაწვდომი მასალები, აქტივობებში ჩართონ მშობლები, რომელთაგან ზოგიერთს ხელსაქმეში დიდი გამოცდილება აქვს და თავიანთ ცოდნას ბავშვებსაც გაუზიარებენ. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება სასკოლო კურიკულუმი ფორმირდეს კონკრეტული სკოლის სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან და როგორ შეიძლება იგი გადაიქცდეს თემისა და სკოლის თანამშრომლობის ჭეშმარიტ არენად. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სწორედ ეს მიდგომა ქმნის ისეთი განათლების საფუძველს, რომელიც მკაფიოდ აირეკლავს ადგილობრივ რეალობას და ამავდროულად უზრუნველყოფს ეროვნული სტანდარტების დაცვას. **სასურველია,** სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. **სასურველია,** ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. **სასურველია,** მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). **სასურველია,** სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს.

	რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. კურიკულუმში გაწერილი თემები და საკითხები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეიმუშავეს. შემოქმედებითი პროდუქტი კომპლექსური დავალების სახითაა წარმოდგენილი. წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** ამგვარად, საგნობრივი კურიკულუმი სკოლაში ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ და ცოცხალ ინსტრუმენტს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცსის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** კურიკულუმში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, თემები, თემების შესაბამისი საკითხები, შემოქმედებითი დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, რაც აისახება დაწყებითი I-VI კლასების კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დაწყებითი მასწავლებლებს

	გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით ბუნების დავალებებს. **საბაზო საფეხური:** კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, შემოქმედებითი დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმებში. წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომელსაც ადასტურებს სკოლის პედაგოგთა მიერ დაგეგმილი და განხორციელებული დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **საშუალო საფეხური:** კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, შემოქმედებითი დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს მე-10, მე-11, მე-12 კლასის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლ საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსურ

	დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. იგი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომელიც სამიზნე ცნებების გააზრების საშუალებას იძლევა. დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, აგრეთვე პედაგოგთან გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლაში იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებით** საფეხურზე **საბუნებისმეტყველო** საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალება. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში. კურიკულუმის ცხრილში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელსაც თან ახლავს დავალების პირობა, შეფასების რუბრიკები და დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

	საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალება. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში. კურიკულუმის ცხრილში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელსაც თან ახლავს დავალების პირობა, შეფასების რუბრიკები და დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საშუალო** საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალება. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში. კურიკულუმის ცხრილში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელსაც თან ახლავს დავალების პირობა, შეფასების რუბრიკები და დავალებაზე მუშაობის პროცესში საჭირო რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით** საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება

	ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საბაზო** საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საშუალო** საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას, კურიკულუმში სწორად არის შერჩეული თემები და საკითხები, შესაბამისად წარმოდგენილ ყველა თემაში იფარება ყველა სამიზნე ცნება. მიმაჩნია რომ, ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	**დაწყებით** საფეხურე დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც დასტურდება დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმით 2024-2025 და საგნობრივი კურიკულუმებით. აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **საბაზო** საფეხურე დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც დასტურდება დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმით 2024-2025 და საგნობრივი კურიკულუმებით. აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **საშუაო** საფეხურე დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც დასტურდება დაწესებულების სასკოლო

	სასწავლო გეგმით 2024-2025 და საგნობრივი კურიკულუმებით. აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. ესთეტიკური კათედრის საგნობრივი გეგმა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს და ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებსა და კონტექსტებს. მასწავლებლები, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში მოქნილად მუშაობენ, რათა რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობებით გაამდიდრონ სასწავლო პროცესი. მაგალითად, ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაწერილი აქტივობები იძლევა როგორც ეროვნული მიზნების შესრულების, ისე ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას, რასაც უფრო მეტად გაამდიდრებენ და გამოიყენებენ სასწავლო პრაქტიკაში. სკოლის შიდა დოკუმენტაცია, თემატური გეგმით დაწყებული, შეფასების სისტემით დასრულებული, სტრუქტურულად მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვუითი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ

	კომპონენტურ უნარებზე, კერძოდმე-პირველ კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების იდეა „დავეხმაროთ ფიფქიას“, მე-5 კლასის „შოკოლადის ფილის განაწილება/ნაწილისა და წილადის გამოყენება პრაქტიკული ამოცანების ამოხსნისას.“ „მზის სისტემის პლანეტები“ და სხვა. მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა. ასევეა სხვა შემოქმედებითი ტიპის დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **საბაზო საფეხური:** წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მათემატიკის კათედრის წევრებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის საბაზო საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. მაგალითად, მათემატიკის საგნობრივ მიმართულებაზე მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალება – განძის რუკა, გასართობი პარკის დაგეგმარება, მე-9 კლასი -კუთხით გასროლილი სხეული და სხვა. მართლაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების-მათემატიკური მოდელის, კანონზომიერები და ლოგიკის დამუშავებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **საშუალო საფეხური:** .წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-11 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეა „რიცხვების რიცხვითი სიმრავლეების ურთიერთკავშირის კვლევა ვენის დიაგრამებით“, „გრაფიკული კალკულატორის მეშვეობით გაეომეტრიული გარდაქმნების დემონსტრირება“, „ეშმაკის ბორბლის მოძრაობის აღმწერი ფუნქციის კვლევა გრაფიკული კალკულატორის საშუალებით“და სხვა მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგანში ტექნოლოგიები, წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. შემოქმედებით პროდუქტებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მოკლევადიანი სასწავლო მიზნები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებით** საფეხურზე ბუნებისმეტყველების კურიკულუმებსა თუ მატრიცებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი- ძირითადი რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც ხელს უწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

	საბაზო საფეხურზე, ყველა საგანის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებსა თუ მატრიცებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის , საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი- ძირითადი რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიისა და სიმულაციის ბმულები, კვლევითი დავალებებისთვის საჭირო სხვა რესურსებ, რაც ხელს უწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.** **საშუალო** საფეხურზე, ყველა საგანის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებსა თუ მატრიცებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის , საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი- ძირითადი რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიისა და სიმულაციის ბმულები, კვლევითი დავალებებისთვის საჭირო სხვა რესურსებ, რაც ხელს უწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით** საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

	რჩევა: სასურველია: საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმში რესურსების სვეტი იყოს მრავალფეროვანი და გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. ეს შეიძლება იყოს ვიდეო გაკვეთილები, ონლაინ ბიბლიოთეკები, აპლიკაციები და სხვა **საბაზო** საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ასევე ციფრული რესურსები საგანმანათლებლო პლატფორმები რომლებიც აძლიერებს სწავლა-სწავლების პროცესს. თვალსაჩინოებები რუკები, გლობუსები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ და ვიზუალურ სწავლას. ბიბლიოთეკა, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და დამოუკიდებელ სწავლას. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია:** საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში გარდა სახელმძღვანელოსა მოცემული იყოს ელექტრონული რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ვიდეო რესურსები და ა.შ. **საშუალო** საფეხურზე შემუშავებული საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლის შედეგებს (მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, პრაქტიკული უნარები), საჭიროებს შესაბამის რესურსებს. მთავარი რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე მასალები: მრავალფეროვანი სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, დამატებითი საკითხავი მასალები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ზოგიერთ კურიკულუმში ასევე მოცემული ციფრული რესურსები საგანმანათლებლო პლატფორმები აძლიერებს სწავლა-სწავლების პროცესს. თვალსაჩინოებები რუკები, გლობუსები, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ და ვიზუალურ სწავლას. სკოლა იყენებს

	ბიბლიოთეკას, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და დამოუკიდებელ სწავლას. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია:** საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სვეტში გარდა სახელმძღვანელოსა მოცემული იყოს ელექტრონული რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები, ვიდეო რესურსები და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით, აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური – შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. მასწავლებლები არსებულ რესურსებს იყენებენ შემოქმედებითად, აქტიურად მიმართავენ ადგილობრივ მასალებს. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილებზე საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება ფოტო-აუდიო მასალა, ბუნებრივი მასალები, მეორადი ნივთები და ინტერნეტ-რესურსები. მუსიკის მასწავლებელი ხელნაკეთი ინსტრუმენტების, აუდიოჩანაწერებისა და ინტეგრირებული აქტივობების მეშვეობით ცდილობს სწავლის მიზნების მიღწევას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების შესრულებაზე, თუმცა მოსწავლის ინტერესებზე მორგებულად. სასწავლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კოორდინაცია, რესურსების გაზიარება და სკოლაში არსებულ საკლასო

	ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. აქვთ თემების მიხედვით გამოსაყენებელი რესურსების კატალოგი, რაც უადვილებთ მუშაობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე (ჰიპერ ლინკები) მაგალითად სასწავლო რესურსის ვიდეოებიო „კარგი სკოლა“, „დაჩი ნანობაშვილის გაკვეთილები“, „ხანის აკადემია“ და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების დაწყებით საფეხურზე. **საბაზო საფეხური:** მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში ძირითადად გამოიყება გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე (ჰიპერ ლინკები) მაგალითად სასწავლო რესურსის ვიდეოებიო „კარგი სკოლა“, „ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილები“, „ხანის აკადემია“ და სხვა. **საშუალო საფეხური:** საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელო მე-10, მე-12 კლასებში, ხოლო მე-11 კლასის სახელძღვანელო „მათემატიკური წიგნიერება“შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული

	სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები. კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურს (code.org, scratch). **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველაა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო** საგანში, **დაწყებით** საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ

	მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **საბუნებისმეტყველო** საგანებში, **საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **საბუნებისმეტყველო** საგანებში, **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**საბაზო საფეხურზე** ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო

	საგანმანათლებლო გარემოში. **რჩევა: სასურველია,** 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ნამუშევარში, გეგმასა ან ნებისმიერ დოკუმენტში არ ჩანდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოიწვევს მოსწავლის იდენტიფიცირებას. 2. საბაზო საფეხურზე იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მეტად მოარგოთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მისცეთ მათ არჩევანის გაკეთების საშუალება, მაგლითად შინაარსის ადაპტირების, პროცესის მორგების, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის გაკეთების, გარემოს ადაპტირების და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.** **საშუალო საფეხურზე** ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი შექმნილია იმგვარად, რომ იყოს ხელმისაწვდომი, ეფექტური და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ყველა მოსწავლე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე პირები და სხვები, სრულფასოვნად არიან ჩართულნი საერთო საგანმანათლებლო გარემოში. **რჩევა: სასურველია,** 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ნამუშევარში, გეგმასა ან ნებისმიერ დოკუმენტში არ ჩანდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოიწვევს მოსწავლის იდენტიფიცირებას. 2. საშუალო საფეხურზე იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მეტად მოარგოთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მისცეთ მათ არჩევანის გაკეთების საშუალება, მაგალითად შინაარსის ადაპტირების, პროცესის მორგების, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის გაკეთების, გარემოს ადაპტირების და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობები, შეფასების რუბრიკები, სასწავლო რესურსები, მოსწავლეთა ინდ გეგმები. სკოლას ასევე აქვს დამტკიცებული რემედიაციის დებულება, რომელიც ასევე ითვალისწინებს, თითოეული

	მოსწავლის საჭიროებებში კვლევასა და შესაბამის რეაგირებას.აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი დგინდება ინკლუზიურობის და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ აკადემიურ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ამ მრავალფეროვნებაზე მორგებულად გეგმავენ სწავლებას. ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ესთეტიკური კათედრის პედაგოგებს არ აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, თუმცა, მათ იციან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გაწერა და შესაბამისი სასწავლო რესურსის მომზადება. მოსწავლეთა დიფერენციაციისთვის, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან დავალებებს, მოქნილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებსა და ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა და მის მიერ შესრულებული დავალებები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. შემუშავებული აქვთ რემედიაციის დებულება . ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში იყენებენ რემედიაციული სწავლების ხერხებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის

	დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მოსწავლის მზაობიდან გამომდინარე. რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია დამატები ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. **საბაზო საფეხური:** სკოლის მათემატიკის საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს საბაზო საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს.მათემატიკის კურიკულუმი საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითებისა და შემოქმედებითი ტიპის დავალები იდეების დონეზე. **საშუალო საფეხური:** კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია. დამატები ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო დონეზე სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. როგორც პედაგოგმა აღნიშნა, კურიკულუმის შედგენის პროცესში გაითვალისწინა მოსწავლეთა საჭიროებები, და შედგენილი აქვს დიფერენცირებული ტიპის დავალებები. რომელიც ნათლად ჩანს სკოლის მიერ მოწოდებულ შემოქმედებით პროდუქტებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა სადიაგნოსტიკო შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებით** საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილ ყველა საგნის კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები.

	წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **საბაზო** საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილ ყველა საგნის კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **საშუალო** საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილ ყველა საგნის კურიკულუმს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა, შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით** საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა, სასურველია,** 1. პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს; 2. განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს. სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი

	საბაზო საფეხურზე გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია:** 1. სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. 2. პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს; განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს. **საშუალო საფეხურზე** გამოყენებული შეფასების სისტემა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან, ფილოსოფიასთან და ამოცანებთან. ის უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის გაზომვის ინსტრუმენტი, არამედ ესგ-ის ფართო საგანმანათლებლო მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა აქტივობების და პროცესის შესაფასებელი რუბრიკა. ასევე პროექტის შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია,** 1. განმავითარებელი შეფასება ეყრდნობოდეს დაზუსტება, წახალისება, რჩევის პრინციპს. 2. პროექტის შეფასების რუბრიკა დეტალურად აღწერდეს პროექტის მიმდინარეობის ანალიზს; სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მოსწავლისთვის მარტივად აღქმადი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა იძლევა როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების საშუალებას, აღნიშნული შეფასების სისტემით შესაძლებელია მოსწავლეთა

	განვითარების/მიღწევების სხვადასხვა დონის შეფასება/დადგენა. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით 2024-2025, შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო ტესტებისა და შემაჯამებლის ანალიზით.აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სთეტიკური საგნების სწავლებისას, მოსწავლის შეფასების სისტემა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს — ის ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, ჩართულობაზე და განვითარების მხარდაჭერაზე. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები, გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისა, იყენებენ სხვა ეფექტურ შეფასების ფორმებსაც: კომენტარებს, თვითშეფასებას, თანატოლთა ურთიერთშეფასებასა და დაკვირვებას. ეს მეთოდები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი, გაიგონ, რაში სჭირდებათ განვითარება და მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას — მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, აქტიურად მონაწილეობენ მიზნების დასახვასა და შედეგების ანალიზში. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები: შეფასება მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ემსახურება არა შეფასებას "შეფასებისთვის", არამედ განვითარების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ;ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ბარათები ყველა კლასისთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს დაწყებითი საფეხურის სწავლებისას. სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. მაგალითად პირველ კლასში- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავიტარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსური დავალებაზე: „მოვაწყოთ გამოფენა“, მე-5 კლასში- „წყალზე მოძრავი ნავის სიჩქარის განსაზღვრა“ და სხვა. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. ასევე მე-5 და მე-6 კლასებში კურიკულუმებს თანდართული ააქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **საბაზო საფეხური:** საბაზო საფეხურზე მოცემული როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მაგალითად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა- მე-8 კლასი თემა: ალგებრული გამოსახულება, საკითხი: ალგებრული წილადი. საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. **საშუალო საფეხური:** მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ინდიკქტორების მიხედვი, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში

	რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვი. **რჩევა: სასურველია,** განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე .სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც ხელს

	უწყობს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შემოქმედებითი ბუნების დავალებები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების ჩამონათვალი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო და სასწავლო პროექტები;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

ტექნოლოგიები

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

სახელმწიფო ენა

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუშები
- მასწავლებლების რეფლექსიები და ანგარიშები
- ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი დოკუმენტაცია
- განმავითარებელი კომენტარების ნიმუშები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის მექანიზმი

სპორტი

- *კურიკულუმი*
- *საგნობრივი პროგრამები*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი*

მათემატიკა

- კურიკულუმები: I,II,III,IV,V და VI კლასები
- კურიკულუმები: VII, VIII და IX კლასები
- კურიკულუმები: X, XI და XII კლასები

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ესთეტიკა

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
საბაზი საფეხურის კურიკულუმები
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
ინტერვიუს შედეგები
თვითშეფასების ანგარიში
უცხოური ენა

1. 2025 წლის 7 აპრილის სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მ/ს-ს ბრძნება N 2-33 (6 25 0000381291) რემედიაციის დებულების დამტკიცების შესახებ(დანართის სახით);
2. უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები(ინგლისური, რუსული, გერმანული);
3. შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები;
4. კომპლექსური დავლების ბარათები;
5. ინდ გეგმები;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.

   საზოგადოებრივი მეცნიერებები

   1. მე და საზოგადოება, საგნობრივი კურიკულუმები
   2. ჩვენი საქართველო საგნობრივი კურიკულუმი
   3. სასკოლო სასწავლო პროექტები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე
   4. თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
   5. თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკა
   6. სხვადასხვა აქტივობების და პროექტის შეფასების რუბრიკა
   7. ვერიფიკაციის დოკუმენტი
   8. სასკოლო სასწავლო გეგმა
   9. სსსმ მოსწავლის ისგ.
   10. მოსწავლეთა ნამუშევრები

11. მშობლის ბარათები
12. რემედიაციის გეგმა
13. ადაპტირებული დავალება
14. რესურსების კატალოგი
15. **გეოგრაფია** - საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
16. **ისტორია** - საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
17. **მოქალაქეობა** - საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
18. სასკოლო სასწავლო პროექტები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე
19. თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
20. თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკა
21. სხვადასხვა აქტივობების და პროექტის შეფასების რუბრიკა
22. ვერიფიკაციის დოკუმენტი
23. სასკოლო სასწავლო გეგმა
24. სსსმ მოსწავლის ისგ.
25. მოსწავლეთა ნამუშევრები
26. მშობლის ბარათები
27. რემედიაციის გეგმა
28. ადაპტირებული დავალება
29. რესურსების კატალოგი
30. გეოგრაფია - საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
31. ისტორია - საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
32. საქართველოს ისტორიის კურიკულუმები
33. მოქალაქეობა - საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი
34. პროექტული სწავლება მოქალაქეობა - კურიკულუმი
35. სასკოლო სასწავლო პროექტები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე
36. თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
37. თემის ფარგლებში შეფასების რუბრიკა
38. სხვადასხვა აქტივობების და პროექტის შეფასების რუბრიკა
39. ვერიფიკაციის დოკუმენტი
40. სასკოლო სასწავლო გეგმა
41. სსსმ მოსწავლის ისგ.

42. მოსწავლეთა ნამუშევრები
43. მშობლის ბარათები
44. რემედიაციის გეგმა
45. ადაპტირებული დავალება
46. რესურსების კატალოგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო** საგანში, **დაწყებით** საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს მატრიცები, სადაც ჩანს, რომ აქტივობები და

	რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **საბუნებისმეტყველო** საგნებში, **საბაზო** საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს მატრიცები, სადაც ჩანს, რომ აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **საბუნებისმეტყველო** საგნებში, **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს მატრიცები, სადაც ჩანს, რომ აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის

	მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებს. **საბაზო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. **საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მიღწეული იქნეს კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები თითოეული საგნისთვის და კლასისთვის. სწავლება მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შინაარსს, ანუ იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შერჩეულია კურიკულუმის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეთა შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) და კრიტერიუმები შეესაბამება კურიკულუმში მოცემულ მოთხოვნებს, რათა ობიექტურად და ზუსტად შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები. სასწავლო რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები და ტექნოლოგიები, შერჩეულია კურიკულუმის მიზნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. ამ მიმართულეით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შინაარსობრივი კავშირით

	კურიკულუმში ასახულ კომპონენტებთან მიმართებაში(თემა, საკითხი, სამიზნე ცნება , დავალება და მისი შესაბამისი რესურსი) ასევე გაკვეთილის გეგმებით. არნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის დაგეგმვა სკოლაში, ზოგადად, პასუხობს ეროვნული სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს. განსაკუთრებით პოზიტიური მაგალითია ესთეტიკური კათედრის მუშაობა, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ სასწავლო გეგმები და გაკვეთილების პრაქტიკული ნაწილი კურიკულუმის მიზნებს ეხმიანება — მოსწავლეთა უნარების განვითარება, ინტერესების წახალისება და პიროვნულ ზრდაზე ზრუნვა. სწავლების შინაარსი და აქტივობები (გაკვეთილები, პროექტები, პრაქტიკული დავალებები) შეთანხმებულია სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებთან; მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად იმუშაონ, გამოხატონ ემოციები, განივითარონ წარმოსახვა და ესთეტიკური გემოვნება; გაკვეთილებზე ინტეგრირებულია მრავალფეროვანი მეთოდები — მათ შორის აქტიური სწავლება, თანამშრომლობა, დემონსტრირება და შეფასება, რაც ეხმიანება თანამედროვე სწავლების პრინციპებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. დაგეგმვა მიმდინარეობს წლიური გეგმის საფუძველზე, რომელიც კურიკულუმთან თანხვედრაშია; რეგულარულად ტარდება შემოქმედებითი ღონისძიებები, რომლებიც აძლიერებს საგნობრივ მიზნებს (მოსწავლეთა გამოფენები, მუსიკალური პრეზენტაციები); მასწავლებლები იყენებენ მოსწავლის ინტერესზე მორგებულ მიდგომებს და ხელს უწყობენ უნარებზე დაფუძნებულ სწავლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **საბაზო საფეხური:** მე-7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმები დაგეგმილია სასწავლო პროცესის შესაბამისად. სწავლის პროცეში, თემეიბს ფარგლებში მუდმივად მუშავდება სამიზნე ცნებები. კარგად ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **საშუალო საფეხური:** სასწავლო პროცესი დაგეგმილი და ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი ბუნების დავალებებით. კერძოდ კომპლექსური დავალება: „ანას ხელფასი რას ურჩევ ანას“, „შადრევნის დაპროექტება“ „რიცხვითი სიმრავლეების ურთიერთკავშირის კვლევა“ „მონაცემთა ინტერპრეტირება, კვლევის დაგეგმვით“ „ბინის ფართის დადგენა“ „როგორ დავამზადოთ თუნუქის ფირფიტისგან მოცემული ფორმის მაქსიმალური ტევადობის ჭურჭელი“და სხვა. ეს კომპლექსურები დაგეგმილია მე-10, მე-11, მე-12 კლასებში. დავალებებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებეები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარის მოთხოვნებს.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების

	საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქეადან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან ინტერვიუ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ხარისხიანად. მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მონიტორინგი იძლევა საშუალებას, დროულად იქნას იდენტიფიცირებული სხვადასხვა საჭიროება. ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში სკოლის თითოეულ რგოლს აქვს მზაობა დაადგინოს გამოწვევის მიზეზი და იზრუნოს მის აღმოფხვრაზე. სკოლისთვის ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული თუ ზეპირსიტყვიერი

შეტყობინება/ანგარიში. მოქნილად რეაგირებისთვის დირექცია დელეგირებას ახდენს შესაბამისი რგოლის ხელმძღვანელზე და მონიტორინგს უწევს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ***ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს***

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები აკვირდებიან თუ რომელი მოსწავლე საჭიროებს დამატებით დახმარებას (მაგალითად, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი მოსწავლეები, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) და შეუძლია შეცვალოს სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები ან რესურსები, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ეს მოიცავს მოულოდნელ გამოწვევებს, როგორიცაა ვირუსული ინფექციების გავრცელება, სტიქიური უბედურებები, ან სხვა კრიზისული სიტუაციები, რომლებიც აიძულებს სკოლას შეცვალოს სასწავლო ფორმატი. სკოლა ღიაა სიახლეების მიმართ და მზადაა დანერგოს ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიები ან პედაგოგიური მეთოდები, თუკი ისინი გააუმჯობესებენ სწავლის ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. თუკი ეროვნულ სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) შედის ცვლილებები ან დამატებები, სკოლა ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის ადაპტირებას ამ სიახლეებთან. სკოლა აქტიურად აგროვებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, აანალიზებს მას და იყენებს ამ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესის მხარდასაჭერად. ასევე შექმნილი აქვთ შემაჯამებლის ანალიზის, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით

	განსაზღვრულ მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია,** 1. თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. 2. აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი. **საბაზო საფეხურზე** მასწავლებლები აკვირდებიან თუ რომელი მოსწავლე საჭიროებს დამატებით დახმარებას (მაგალითად, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი მოსწავლეები, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) და შეუძლია შეცვალოს სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები ან რესურსები, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ეს მოიცავს მოულოდნელ გამოწვევებს, როგორიცაა ვირუსული ინფექციების გავრცელება, სტიქიური უბედურებები, ან სხვა კრიზისული სიტუაციები, რომლებიც აიძულებს სკოლას შეცვალოს სასწავლო ფორმატი. სკოლა ღიაა სიახლეების მიმართ და მზადაა დანერგოს ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიები ან პედაგოგიური მეთოდები, თუკი ისინი გააუმჯობესებენ სწავლის ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. თუკი ეროვნულ სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) შედის ცვლილებები ან დამატებები, სკოლა ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის ადაპტირებას ამ სიახლეებთან. სკოლა აქტიურად აგროვებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, აანალიზებს მას და იყენებს ამ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესის მხარდასაჭერად. ასევე შექმნილი აქვთ შემაჯამებლის ანალიზის, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. **რჩევა: სასურველია,** 1. თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. 2. აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და

	მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი. **საშუალო საფეხურის** მასწავლებლები აკვირდებიან და აანალიზებენ თუ რომელი მოსწავლე საჭიროებს დამატებით დახმარებას (მაგალითად, სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერი მოსწავლეები, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები) და შეუძლია შეცვალოს სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები ან რესურსები, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ეს მოიცავს მოულოდნელ გამოწვევებს, როგორიცაა ვირუსული ინფექციების გავრცელება, სტიქიური უბედურებები, ან სხვა კრიზისული სიტუაციები, რომლებიც აიძულებს სკოლას შეცვალოს სასწავლო ფორმატი. სკოლა ღიაა სიახლეების მიმართ და მზადაა დანერგოს ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიები ან პედაგოგიური მეთოდები, თუკი ისინი გაუმჯობესებენ სწავლის ხარისხს და მოსწავლეთა ჩართულობას. თუკი ეროვნულ სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) შედის ცვლილებები ან დამატებები, სკოლა ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის ადაპტირებას ამ სიახლეებთან. სკოლა აქტიურად აგროვებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, მასწავლებლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან, აანალიზებს მას და იყენებს ამ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესის მხარდასაჭერად. ასევე შექმნილი აქვთ შემაჯამებლის ანალიზის, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები. ამ მიმართულეით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია,** 1. თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა მაქსიმალური ჯამური რაოდენობა შეადგენდეს 10 ქულას. 2. აქტივობების შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული, ორი ქულის მინიჭების შემთხვევაში ერთ კომპონენტში ჩანდეს რაში იღებს მოსწავლე 1 ან 2 ქულას, ანუ უნდა იყოს გაზომვადი და მარტივად აღქმადი მოსწავლისათვის. პროექტის შეფასების რუბრიკა უნდა იყოს პროექტის მიმდინარეობის ანალიზზე ორიენტირებული და მასში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ

	პრეზენტაციის და მონიტორინგის ანალიზი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	დაწესებულებას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემე რომელიც არის ვალიდური, გამვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, აღნიშნული დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: ვერიფიკაციის მექანიზმი, სხვადასხვა დავალებისა და დონის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლების ანალიზი, შეფასების რუბრიკების და კომპლექსური დავალებების გაზიარების მექანიზმით როგორც მოსწავლეებთან ასევე მათ მშობლებთან.არნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში მუსიკისა და ხელოვნების მიმართულებით შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესში საგნობრივი შეფასება არ წარმოადგენს მხოლოდ მოსწავლის აკადემიური ცოდნის რაოდენობრივ აღრიცხვას – იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნული და შემოქმედებითი განვითარების წახალისებაში. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია: იქნება ეს მუსიკალური კომპოზიციის შესრულება, ინსცენირება, მხატვრული ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით ფასდება, რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. ხშირად გამოყენებულია სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც აუმჯობესებს მათ სასწავლო უნარებს. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო, რაც ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კათედრაზე აღნიშნეს, რომ არ ჰყავთ ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლე, ამიტომაც განსაკუთრებული მიდგომების გამოყენების გამოცდილება ამ მიმართულებით არ აქვთ. პრაქტიკაში გამოიყენება

	სხვადასხვა ტიპის დავალება – ჯგუფური პროექტები, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნამუშევრები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება. ეს ავითარებს თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარებს. **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ეს გაზრდის პროცესის დოკუმენტურ გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. მუსიკისა და ხელოვნების შეფასების სისტემა ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში განვითარებაზე ორიენტირებული და მრავალფეროვანია. შეფასების სისტემამ უკვე აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარების პოტენციალი კვლავ არსებობს – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. **რჩევები: სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის

	მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობა შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები მსჯელობენ გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია **საბაზო საფეხური:** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში საბაზო საფეხურხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებები, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწეევები.

	საშუალო საფეხური: სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც, მოიცავს საშუალებას საშუალო საფეხურის შედეგების სტატისტიკურ ანალიზებსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც უკვე ხდება სასწავლო პროცესში, პედაგოგი წინასწარ ახდენს შეფასების რუბრიკების წარდგენას მოსწავლეებისთვის. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას 2025 წლის 23 მარტს დირექტორის ბრძანება N2-23 დამტკიცებული აქვს სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში იკითხება, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე პასუხისმგებელია დირექტორი და მის მიერ განსაზღვრული პირი/პირები. შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური), ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის კათედრებთან ინტერვიუირებით გადამოწმდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

ტექნოლოგიები

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;

- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

სახელმწიფო ენა

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პედაგოგებთან და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებები
- კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- მასწავლებლების რეფლექსიები და ანგარიშები
- ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი დოკუმენტაცია
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები

სპორტი

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების სისტემა
- კათედრის ოქმი
- კათედრის სამუშაო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

მათემატიკა

- კურიკულუმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის
- განმავითარებელი რუბრიკები
- შეემაჯამებელი დავალების ნიმუშები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები
- სამიზნე ცნების განმავითარებელი შეფასების რუბლიკები პირველ, მესამე და მეხუთე კლასების

უცხოური ენა

1. 2025 წლის 23 მარტის სსიპ დავით კლდიასვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სიმონეთის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს ბრძნება N 2-19 (3 25 0000350583) ვერიფიკაციის მექანიზმი დანართის სახით.
2. საქმის წარმოების წესი;
3. საქმეთაა ნომეკლატურა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში;
2. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში;
3. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
4. შემაჯამებელი დავალების რუბრიკები;
5. ზოგადი შეფასების რუბრიკები;
6. ვერიფიკაციის მექანიზმი;
7. მოსწავლეთა ნამუშევრები;
8. შემაჯამებელი დავალებები;
9. ურთიერთშეფასების რუბრიკები;
10. თვითშეფასების რუბრიკები;
11. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში;
12. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში;
13. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
14. შემაჯამებელი დავალების რუბრიკები;
15. ზოგადი შეფასების რუბრიკები;
16. ვერიფიკაციის მექანიზმი;
17. მოსწავლეთა ნამუშევრები;
18. შემაჯამებელი დავალებები;
19. ურთიერთშეფასების რუბრიკები;
20. თვითშეფასების რუბრიკები;
21. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში;
22. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში;
23. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
24. შემაჯამებელი დავალების რუბრიკები;

25. ზოგადი შეფასების რუბრიკები;
26. ვერიფიკაციის მექანიზმი;
27. მოსწავლეთა ნამუშევრები;
28. შემაჯამებელი დავალებები;
29. ურთიერთშეფასების რუბრიკები;
30. თვითშეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გაწერილი ძირითადი რესურსი (სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვირტუალური ლაბორატორია, სიმულაციები, ვიდეო გაკვეთილები, აუდიო ჩანაწერები - რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაცის. გასაუბრებისას გამოიკვეთა სხვა მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსი, რაც აუცილებელია ეფექტური და ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლა არამარტო გეგმავს სწავლებას, არამედ გააჩნია ის საშუალებები, რითაც ეს გეგმა რეალურად განხორციელდება და მოსწავლეები მიიღებენ სრულფასოვან განათლებას. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში, აღნიშნული დასტურდება უცხო ენების კათედრასთან გასაუბრებებითა და შემდეგი დოკუმენტებით: უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების ბარათები. არნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის შემუშავება. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უშურველად უზიარებენ მოსწავლეებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს კურიკულუმის განვითარებისთვის, რომელშიც მეტად გაითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, არქიტექტურა, თეატრი, ხელსაქმე, კულინარია, მეღვინეობა) შესაბამისი თემები. **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერისა და ცეკვის კონცერტები, თემატური დღეები, ექსპედიციები, კონფერენციები და ა.შ. **რჩევები: სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა, არქიტექტურა, კულინარია) შესაბამისი თემები. **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი საბაზო და საშუალო) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, აღინიშნა, რომ მიუხედავათ სპორტული ინვენტარის და ინფრასტრუქტურის სიმწირისა, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ,

	ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, დამხმარე რესურსები ხელს უწყობს სწავლის პროცესს და ავითარებს საჭირო უნარებს სკოლაში, რაც დასტურდება ვიზიტზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრასთან გასაუბრებით. ინდიკატორი **შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით საფეხურზე** სკოლა არამხოლოდ ფლობს დამხმარე სასწავლო რესურსებს, არამედ აქვს მკაფიო პროცესი ამ რესურსების ხარისხის, შესაბამისობისა და ეფექტიანობის შესამოწმებლად და დასადასტურებლად. საწყის ეტაპზე სკოლა რწმუნდება, რომ ყველა დამატებითი სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება, ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. არსებულ რესურსებს სისტემატურად ამოწმებს და სჭიროების მიხედვით აკეთებს მოდიფიცირებას. როგორც ინტერვიუს ფაზაზე გამოიკვეთა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუდმივად აკვირდება მათ ხელთ არსებული რესურსები ხომ არ ეწინააღმდეგება მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს და შეფასების პრინციპებს. როგორც გაირკვა არსებული დამხმარე რესურსები ხელს უწყობს სწავლის პროცესს და ავითარებს საჭირო უნარებს სკოლაში. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** ინდიკატორის მოთხოვნებს. **საბაზო საფეხურზე** სკოლა არამხოლოდ ფლობს დამხმარე სასწავლო რესურსებს, არამედ აქვს მკაფიო პროცესი ამ რესურსების ხარისხის, შესაბამისობისა და ეფექტიანობის შესამოწმებლად და დასადასტურებლად. საწყის ეტაპზე სკოლა რწმუნდება, რომ ყველა დამატებითი სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება, ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. არსებულ რესურსებს სისტემატურად ამოწმებს და სჭიროების მიხედვით აკეთებს მოდიფიცირებას. როგორც ინტერვიუს ფაზაზე გამოიკვეთა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუდმივად აკვირდება მათ ხელთ არსებული

	რესურსები ხომ არ ეწინააღმდეგება მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს და შეფასების პრინციპებს. როგორც გაირკვა არსებული დამხმარე რესურსები ხელს უწყობს სწავლის პროცესს და ავითარებს საჭირო უნარებს სკოლაში. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** ინდიკატორის მოთხოვნებს. **საშუალო საფეხურზე** სკოლა არამხოლოდ ფლობს დამხმარე სასწავლო რესურსებს, არამედ აქვს მკაფიო პროცესი ამ რესურსების ხარისხის, შესაბამისობისა და ეფექტიანობის შესამოწმებლად და დასადასტურებლად. საწყის ეტაპზე სკოლა რწმუნდება, რომ ყველა დამატებითი სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება, ნამდვილად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს. არსებულ რესურსებს სისტემატურად ამოწმებს და სჭიროების მიხედვით აკეთებს მოდიფიცირებას. როგორც ინტერვიუს ფაზაზე გამოიკვეთა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მუდმივად აკვირდება მათ ხელთ არსებული რესურსები ხომ არ ეწინააღმდეგება მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს და შეფასების პრინციპებს. როგორც გაირკვა არსებული დამხმარე რესურსები ხელს უწყობს სწავლის პროცესს და ავითარებს საჭირო უნარებს სკოლაში. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც დასტურდება ვიზიტზე უცხო ენების კათედრასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებით.აღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. სასწავლო რესურსის ვალიდაცია განიხილება, როგორც სწავლის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და თემის შინაარსთან.

	სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური მასალები:მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები; ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები; სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები; დარგობრივი ელექტრონული რესურსები. მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. **რჩევები:** მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, **სასურველია** მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. **სასურველია,** სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური ან არასანდო მასალის გამოყენება. **სასურველია,** შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში, დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს

	რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი მიმართულებით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით თვალსაჩინოა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეს დასტურდება „საგანმანათლებლო რესურსი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები“ ასევეკურიკულუმში ჩაშენებული ჰიპერლინკებით, ტელესკოლის გაკვეთილების, დამხმარე ლიტერატურისა და ხანის აკადემიის ტესტების გამოყენებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია

	მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. განსკუთრებით აქტიურად არის კურიკულუმებში განსაზღვრული learningapp, story jumper, kids.ge ტელესკოლის ელექტრონული რესურსები დასახული მიზნის მისაღწევად. რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის) ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით (არის რეაქტივები და ქიმიური ჭურჭელი, ბიოლოგიური პრეპარატები, ორგანოების მოდელები, ხელსაწყოები, ტაბულები და სხვა). ოთახი აღჭურვილია გამწოვი სისტემით, წყლით და კანალიზაციის სისტემით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მისაღწევად. ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის, სასკოლო სივრცისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებს. ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის **საბაზო** საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რესურსები საკმარისია

	კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მისაღწევად. ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის, სასკოლო სივრცისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. ამ მიმართულეით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის **საშუალო** საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რესურსები საკმარისია კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის მისაღწევად. ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის, სასკოლო სივრცისა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიაური რესურსით, გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა , რომელსაც მოსწავლეები სკოლას აქვს შესყიდული საკანცელარიო ნივთები რომელიც საწიროა კურიკულუმით გათავალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად .ღნიშნული შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით ფორტეპიანო, რიტმული აქტივობისთვის საჭირო ინსტრუმენტები: მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და საჭირო ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე

	პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს. **რჩევები: სასურველია**, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალების და ტექნიკური აღჭურვილობისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები, პროექტორი, ხმის გამაძლიერებელი, ლეპტოპი), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. **სასურველია,** გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. **სასურველია,** ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი,

	პრაქტიკული და მოტივირებული სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს, რაც დასტურდება გადმოგზავნილი დოკუმენტაციითაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების პროცესისათვის სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად, ყველა მოსწავლეს გადაცემული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. სწავლების სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მოსწავლეებს მიეწოდებთ ჰიპერლინკების დახმარებით შესაბამისი რესურსი, რაც ნათლად ჩანს სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ

	საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ - დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის ხარისხიანად განხორციელებას: 12 უფროსი, 12 წამყვანი, 1 მენტორი და 2 უფროსი სპეცმასწავლებელი ყავს სკოლას. აღნიშნული დასტურდება პირადი საქმეებით, შესაბამისი სერტიფიკატებითა და დიპლომებით. ასევე თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტექნოლოგიები

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა.

სახელმწიფო ენა

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პედაგოგებთან და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებები
- კურიკულუმები

- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- მასწავლებლების რეფლექსიები და ანგარიშები
- ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი დოკუმენტაცია
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები

სპორტი

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების სისტემა
- ინტეგრირებული გაკვეთილი
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა
- დირექტორის ანგარიში

მათემატიკა

- კურიკულუმები: I,II,III,IV,V და VI კლასები
- კურიკულუმები: VII, VIII და IX კლასები
- კურიკულუმები: X, XI და XII კლასები
- საგანმანათლებლო რესურსი გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები
- კათედრის ოქმი

უცხოური ენა

1. უცხო ენების კათედრის 2024 წლის 3 სექტემბრის სხდომის ოქმი N 1;
2. სკოლის დირექტორის მ/შ -ს 2025 წლის 5 აპრილის ბრძანება N 2-31 , სკოლასი დასაქმებულ პერსონალთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება.
3. გრიფირებული სახელმძღვანეოები;
4. საკანცელარიო ნივთების შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულებებიდ ამიღება ჩაბარების აქტები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. რესურსების კატალოგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, ითვალისწინებს მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტის მიხედვით - მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.ინტერვიუირების დროს მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გადამოწმდა, რამდენად ხორციელდება აღნიშნული პროცესები დოკუმენტში გაწერილი ნაბიჯების მიხედვით. გაირკვა, რომ პედაგოგები მთელი წლის მანძილზე აანალიზებენ მიღებულ შედეგებს (კომპლექსური დავალებები,, შემაჯამებელი დავალებები, სადიაგნოსტიკო წერები და ა.შ.) და საჭიროების შემთხვევაში (კლასის/მოსწავლის ინტერესებისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით) ცვლილება შეაქვთ დოკუმენტში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც სამომავლოდ აისახება ცვლილებების სახით. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას. სკოლის სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
კათედრის სხდომის ოქმები.
სასკოლო სასწავლო გეგმა
ინტერვიუები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მომდევნო სასწავლო წელს სკოლა გამოიყენებს ორი ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელს და განმავითარებელს. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. ვინაიდან, შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის შეფასებას, არამედ ფასდება მისი ქცევა, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესი და ძალიან მნიშნელოვანია წარმატებული მოაქლაქის აღსაზრდელად. სკოლა ითვალიწინებს ეროვნული სასწავლო გეგგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუირების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს და იყენებს მოსწავლეთა შეფასებას მრავალმხრივად, არა მხოლოდ მათ მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე. ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინმება. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შეფასება ხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრაზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა არის კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულებას. შეფასება წარიმართება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.მოსწავლეთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ კათედრა ითვალისწინებს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნას, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციურ უნარ-ჩვევებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

• საგნობრივი კურიკულუმი;
• შემაჯამელი დავალებების ანალიზი

- დიაგნოსტირების ინსტრუმენტის შაბლონი
- სასწავლო პროცესისი შეფასების მეთოდოლოგია
- რემედიაციის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს იყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს ასრულებს სკოლაში შექმნილი პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით ანხორციელებს იმ საჭიროებების დადგენას, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმეტი-კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლე გეგმაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

კათედრის სხდომის ოქმები

ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება

ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი 9 აგვისტო. 2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: